ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ N 24

ქ. თელავი 04.03.2019წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.უმწეოთა და უპოვართა სამსახურის დირექტორი მანანა ბაზერაშვილის სახით, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს ,,ეტალონი'' შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1.ხელშეკრულების საგანია სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევა.
1.2კლასიფიკატორის(CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი.73111000
1.3.შესყიდვის საშუალება-გამარტივებული შესყიდვა
1.4.დაფინანსების წარო- - - 2019წლის სუბსიდია.

2. **ხელშეკრულების ობიექტი**

,,მიმწოდებელი “ვალდებულია გაუწიოს ,,შემსყიდველს'' ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1.საქონლის მიწოდების ვადებია -- 04.03.2019-04.04. 2019წ.
3.2.საქონლის მიწოდების ადგილი - ქ.თელავი რუსთაველის გამზ. #93

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1.შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ,,მიმწოდებელი“.

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1.,,შემსყიდველი“ ვალდებულია: გადაუხადოს ,,მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი, მიიღოს ნაყიდი საქონელი.
5.2.,,შემყიდველს უფლება აქვს: უკან დაუბრუნოს ,,მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3.,,მიმწოდებელი“ ვალდებულია: გადასცეს ,,შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმებული ფასი.

6. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

6.1ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა
60(სამოცი) ლარი.

7. **ანგარიშსწორების პირობები**

7.1.ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება;
7.2.ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) - საქონლის მიღების შემდეგ;

7.3.ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები, ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადებები.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიაანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1.,მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2.თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019წლის 04 მაისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი ცვლილება მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

11.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)ი.პ.უმწეოთა და უპოვართა სამსახური ერეკლე 2 გამზ. N16 ს/კ 231289361	შპს ,,ეტალონი'' საქართველოს ბანკი.კოდი BAGAGE22 ანგ.N GE73BG0000000116674200 ს/კ 200141612